



**რეგიონალური ტელევიზიების მონიტორინგი
საპრეზიდენტო არჩევნები 2013**

პროექტი # S-13-238

საანგარიშო პერიოდი: 28 ოქტომბერი - 3 ნოემბერი, 2013 წელი

მონიტორინგის მეხუთე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე დრო მონიტორინგის სუბიექტების მცირე ნაწილს ეთმობოდა;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო: მთავრობას, კოალიცია "ქართულ ოცნებას" და "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას";
- ტელეკომპანიათა ნაწილი დიდ დროს უთმობდა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას, ძირითადად, ნეიტრალურ ტონში;
- ტელეკომპანიების უმრავლესობაზე საინფორმაციო გამოშვებებში მოვლენები ზედაპირულად შუქდებოდა. ჟურნალისტები მხოლოდ ფაქტების გადმოცემით შემოიფარგლებოდნენ და ნაკლებად სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს;
- მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი საუბარი სჭარბობდა;
- საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა ხმით/მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2013 წლის 28 ოქტომბერი - 3 ნოემბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს.

მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტის განვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს ეთერში (19:00 - 24:00 სთ.) გასულ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ რეგიონალური ტელემაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 12 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ქ. ჭიათურა), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "მე-9 ტალა" (ქ. ფოთი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს (ე.წ. "პრაიმ-ტაიმის", როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს) გადაცემებზე: საინფორმაციო გამოშვებებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებზე, სოციალურ რეკლამებზე.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ შერჩეული სუბიექტების შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ. დრო ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტის ნებისმიერი რესპონდენტი. ასევე ითვლება დრო, როდესაც სუბიექტი უბრალოდ ჩანს ეკრანზე, ან ჩანს მისი ფოტო, პლაკატი ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალა (იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მასზე არ საუბრობენ).

მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე სხვები (ჟურნალისტი ან რესპონდენტი) საუბრობენ. იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგის სუბიექტები თავად საუბრობენ (ისმის ხმა) დრო ითვლება, როგორც პირდაპირი გაშუქება; როდესაც სუბიექტებზე საუბრობენ სხვები, ჟურნალისტები ან რესპონდენტები, დრო ითვლება, როგორც ირიბი გაშუქება.

გაშუქების ტონი ენიჭება მონიტორინგის ყველა სუბიექტს. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება, რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ტექსტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), ფაქტებზე


დაფუძნებული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება, მოვლენების დროული გაშუქება, ჟურნალისტის ლექსიკა, "ფარული პოლიტიკური რეკლამის" გამოყენების ფაქტები და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატები, პრეზიდენტი, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ადგილობრივი ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე), აჭარის მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია "ქართული ოცნება", ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, თავისუფალი დემოკრატები (კოალიცია), ეროვნული ფორუმი (კოალიცია), საქართველოს რესპუბლიკური პარტია (კოალიცია), საქართველოს კონსერვატიული პარტია (კოალიცია), მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (კოალიცია), ხალხის პარტია, საქართველოს გზა, თავისუფალი საქართველო, ახალი მემარჯვენეები, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, ქართული დასი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ევროპელი დემოკრატები, ასევე პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი ცალკ-ცალკე.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის ეთერში საინფორმაციო გამოშვებები სამშაბათი - კვირის მანძილზე გადიოდა. მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 15 წუთი დაეთმო. ამ დროის 30% აჭარის მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, 27% - მთავრობის. ორივე სუბიექტი, დიდწილად, პირდაპირი საუბარით გაშუქდა. წუთზე ოდნავ მეტი დრო დაეთმო: პრეზიდენტს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და პრემიერ-მინისტრს.

საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, ადგილობრივი ახალი ამბები შუქდებოდა. სიუჟეტები დაბალანსებული იყო, ჟურნალისტები მოვლენებს ნეიტრალურად გადმოსცემდნენ და არც რესპონდენტთა კომენტარები შეიცავდა ნეგატიურ ტონს და კრიტიკას. შედეგად, სუბიექტების გაშუქებისას მხოლოდ ნეიტრალური და დადებითი ტონები გამოვლინდა.



„რიონი“ (ქ. ქუთაისი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში საინფორმაციო გამოშვება „დღის ამბები“ ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გადიოდა. კვირას კი მაყურებელს საშუალება ჰქონდა ტელეჟურნალი „7 დღე“ ეხილა. „რიონის“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში ერთი საათი და 45 წუთი დაეთმო.


საანგარიშო კვირაში არხმა ყველაზე მეტი დრო (32 წთ) „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაუთმო. 19 წუთით კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა, 12 წუთის განმავლობაში კი „რიონზე“ ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ საუბრობდნენ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ დათმობილი დროის ზრდა პარტიის წარმომადგენლების აქტივობების გაშუქებამ განაპირობა: საპარლამენტო უმცირესობის აქტიურობა, იმერეთის გუბერნატორის და მისი მოადგილის განცხადებები გადადგომასთან დაკავშირებით, მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრებთან.

მონიტორინგის სუბიექტებს არხის ეთერში დრო, მეტწილად, პირდაპირი საუბრისთვის ეთმობოდათ. გაშუქების ტონი კი, ძირითადად, ნეიტრალური იყო.

არხის საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. „დღის ამბებში“ შუქდებოდა ქვეყანაში განვითარებული მოვლენები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემები, ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობები, პარლამენტის თბილისში გადატანასთან დაკავშირებით ქუთაისში გამართული საპროტესტო აქციები, პარლამენტის პლენარული სხდომები. ასევე სპორტული და კულტურული ღონისძიებები. სიუჟეტებში

მხარეები თანაბრად იყო წარმოდგენილი, გამოშვებებში მოვლენები დროულად, დაბალანსებულად და მიუკერძოებლად შუქდებოდა.




ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის ეთერში ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემა "ქრონიკა" გადიოდა. საინფორმაციო გამოშვებებში, უმეტესწილად, რეგიონის ახალი ამბები შუქდებოდა, თუმცა მზადდებოდა სიუჟეტები ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზეც.

საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 28 წუთი დაეთმო. ამ დროის 39% ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობების გაშუქებაზე მოდიოდა, 6% - მთავრობის. თითქმის 3-3 წუთი დაეთმო კოალიცია "ქართულ ოცნებას" და პრემიერ-მინისტრს. ამ დროის უმეტესი ნაწილი (კოალიცია - 84%, პრემიერი - 90%) პირდაპირ საუბარზე მოდიოდა. დანარჩენი სუბიექტების შემთხვევაში კი პირდაპირი და ირიბი გაშუქება თითქმის თანაბრად ხდებოდა. სუბიექტების მიმართ, ძირითადად, ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ. ძალიან მცირე იყო დადებითად გაშუქების მაჩვენებელი, ხოლო უარყოფითი ტონი მხოლოდ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიმართ დაფიქსირდა.

საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკურ თემებთან ერთად დიდი დრო ეთმობოდა სოციალურ თემებზე და რეგიონში განხორციელებულ სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ

პროექტებზე მომზადებულ სიუჟეტებსაც. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მთავრობის საქმიანობა დადებითად ან ნეიტრალურად, კრიტიკის გარეშე შუქდებოდა. ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად, სუბიექტური შეფასებების გარეშე გადმოსცემდნენ. სიუჟეტებში ყოველთვის იყო წარმოდგენილი ფაქტის დამადასტურებელი კადრები და კომენტარები.




"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „ოდიშის“ ეთერში საინფორმაციო გამოშვებები ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით გადაიცემოდა. სიუჟეტები, ძირითადად, რეგიონში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებსა და სხვადასხვა სოციალურ თემებზე მომზადდა. საინფორმაციო გამოშვებებში დრო, დაახლოებით 2 წუთი, ეთმობოდა "ინფოლენტს", სადაც ქვეყანაში განვითარებული მოვლენები მოკლედ იყო გადმოცემული. კერძოდ, 15 წამის განმავლობაში პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მოკლე ტექსტის სახით აჩვენებდნენ. ხშირად ციტატასთან ერთად ეკრანზე მისი ავტორის ფოტოც ჩანდა. "ინფოლენტებში" არ დაფიქსირებულა ტექსტისა და ფოტოს შეუსაბამობის, ფოტოთი და მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.


საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს 18 წუთი და 46 წამი დაეთმოთ. ამ დროის 26% კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის გაშუქებაზე მოდიოდა, ხოლო 23% - პრემიერ-მინისტრის. სუბიექტების პირდაპირ საუბარს ძალიან მცირე დრო ეთმობოდა. 100% -იანი ირიბი გაშუქება ჰქონდათ: გიორგი მარგველაშვილს (დათმობილი დრო: 4 წთ. 55 წმ.), პრემიერ-მინისტრს

(დათმობილი დრო: 4 წთ. 23 წმ.), მთავრობას (დათმობილი დრო: 3 წთ.6 წმ.) და პრეზიდენტს (დათმობილი დრო: 1 წთ. 14 წმ.).

სიუჟეტებში მოვლენები მშრალად, კრიტიკის გარეშე იყო გაშუქებული. ჟურნალისტები ფაქტებს ანალიზის გარეშე, მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ. მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება, უმეტესწილად, ნეიტრალურ ტონში ხდებოდა.




"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საანგარიშო პერიოდში არხის საინფორმაციო გამოშვება "ექო" ეთერში ყოველდღე გადიოდა. გადაცემებში ვრცლად შუქდებოდა ადგილობრივი ახალი ამბები და ხშირ შემთხვევაში, სიუჟეტებში მონიტორინგის სუბიექტები ვერ ხვდებოდნენ. არხი რეგიონსგარეთ განვითარებულ მოვლენებსაც აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 14 წუთი დაეთმოთ. ამ დროის 18-18% "ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის" და კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებაზე მოდიოდა, ხოლო 14% - კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის. სუბიექტები დიდწილად პირდაპირი საუბრით გაშუქდნენ. უარყოფითი ტონი არც ერთი სუბიექტის მიმართ არ გამოვლენილა, დაფიქსირდა ნეიტრალური ტონის მაღალი მაჩვენებელი. ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ, სიუჟეტებში დაცული იყო ბალანსი, კომენტარისთვის ყველას თითქმის თანაბრად ეთმობოდა დრო.



"თანამგზავი" (ქ. თელავი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის ეთერში, ორშაბათი - პარასკევის მანძილზე გასულ საინფორმაციო გამოშვებებში დეტალურად იყო აღწერილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ რეგიონში და მთლიანად ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. მომზადდა სიუჟეტები საარჩევნო უბნებზე არსებულ დარღვევებთან დაკავშირებითაც.

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას ჯამში საათი და 49 წუთი დაეთმო. ყველაზე მეტი დრო მთავრობის (24 წუთი), კოალიცია „ქართულ ოცნების“ (15 წუთი) და კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის (14 წუთი) გაშუქებაზე მოდიოდა. ახალი ამბების გამოშვებებში სუბიექტებს დროის დიდი ნაწილი პირდაპირი საუბრისთვის ეთმობოდათ. მაგალითად, მთავრობა 68% პირდაპირი საუბრით იყო წარმოდგენილი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე - 89%-ით, ხოლო კოალიცია „ქართული ოცნება“ - 76%-ით. თუმცა, კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატის გაშუქებისას ირიბი საუბარი გაცილებით მეტი იყო - 74%. ირიბი საუბარი ასევე სჭარბობდა პრეზიდენტის (73%) და "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის" პრეზიდენტობის კანდიდატის, ნინო ბურჯანაძის (99%) შემთხვევებში. კოალიცია „ქართული ოცნების“ და მათი საპრეზიდენტო კანდიდატის პოზიტიურად გაშუქების მაღალი მაჩვენებელი არჩევნების შედეგების შესახებ რესპონდენტების მიერ გაკეთებულმა დადებითმა კომენტარებმა განაპირობა.

ჟურნალისტები ახალ ამბებს მაქსიმალურად მიუკერძოებლად და ნეიტრალურად აშუქებდნენ, თუმცა საინფორმაციო გამოშვებებში შემაჯამებელ და ანალიტიკურ სიუჟეტებს ნაკლები დრო ეთმობოდა.



"თრიალეთი" (ქ. გორი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში საინფორმაციო გამოშვება ყოველდღიურად, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გადიოდა. 20-25 წუთიანი ახალი ამბების გამოშვებებს წამყვანი უძღვებოდა.

საინფორმაციო გამოშვებების ჟურნალისტები აქცენტს რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე აკეთებდნენ. შაბათის შემაჯამებელ გამოშვებაში კი, რომელსაც ორი წამყვანი ჰყავდა, გასული კვირის ყველაზე აქტუალურ თემებთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტები მეორდებოდა.


საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 30 წუთი და 52 წამი დაეთმოთ. აქედან, 7-7 წუთი მთავრობის და ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებაზე მოდიოდა.

გაშუქებულ სუბიექტებს თითქმის თანაბრად ეთმობოდათ დრო პირდაპირი და ირიბი საუბრისთვის. მხოლოდ კოალიცია "ქართული ოცნების" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატებს ჰქონდათ 100%-იანი ირიბი გაშუქება: გიორგი მარგველაშვილი (დათმობილი დრო: 2 წთ. 43 წმ.), დავით ბაქრაძე (დათმობილი დრო: 1 წთ. 40 წმ.).

კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის არჩევნებში გამარჯვებამ გიორგი მარგველაშვილის მიმართ 69%-იანი პოზიტიური ტონი განაპირობა. სხვა გაშუქებული სუბიექტების მიმართ კი, უმეტესწილად, ნეიტრალური ტონი დაფიქსირდა.

მთლიანობაში ჟურნალისტები მოვლენებს ნეიტრალურად აშუქებდნენ და სუბიექტურ მოსაზრებებს არ გამოთქვამდნენ.

საინფორმაციო გამოშვებებში ყურადღება, ძირითადად, რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე კეთდებოდა, დიდი დრო ეთმობოდა სოციალური თემების გაშუქებასაც.




"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემა "ფაქტი" ორშაბათი - პარასკევის განმავლობაში გადაიცემოდა. საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, ადგილობრივი ახალი ამბები შუქდებოდა, თუმცა ქვეყანაში განვითარებულ მნიშვნელოვან პროცესებსაც ეთმობოდა დრო.

არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას 21 წუთი დაეთმო. მთლიანი დროის 36% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, ხოლო 26% - ადგილობრივი ხელისუფლების. სხვა სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ბევრად ნაკლები იყო. მთავრობისთვის დათმობილი 7 წუთიდან 78% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დათმობილი 5 წუთიდან - 56%. სუბიექტები, ძირითადად, ნეიტრალურად შუქდებოდნენ, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებისას 4%-იანი ნეგატიური ტონიც დაფიქსირდა.

ჟურნალისტები ფაქტებს მშრალად, დამატებითი კომენტარებისა და შეფასებების გარეშე გადმოსცემდნენ. სიუჟეტები მოსაზრებათა მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა, ზოგჯერ ჭირდა რესპონდენტების ვინაობის დადგენა, რადგან შესაბამისი ტიტრი არ ახლდა.

საინფორმაციო გამოშვებებში დიდი დრო ეთმობოდა სოციალური თემების გაშუქებას.




იმერვია" (ქ. ჭიათურა) - ტელეკომპანიის ეთერში მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 3 წუთი დაეთმო. არხის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე დიდი დროით (15 წთ.) კოალიცია "ქართული ოცნება" გაშუქდა, 9-9 წუთი დაეთმო ადგილობრივ ხელისუფლებას და მთავრობას.

საანგარიშო პერიოდში არხის "ახალი ამბების" გამოშვებები ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 19:00 საათსა და განმეორებით 21:20 საათზე გადიოდა. სიუჟეტებში, ძირითადად, საუბარი იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგებზე, ასევე საჩხერისა და ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიების მონაცემებზე, ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაზე, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ასევე შუქდებოდა სხვადასხვა კულტურული თუ სპორტული ღონისძიებები.

ჟურნალისტები ახალი ამბების გადმოცემისას შეფასებებს არ აკეთებდნენ. სიუჟეტებში დაცული იყო ბალანსი. არხის ეთერში მონიტორინგის სუბიექტები ძირითადად თავად საუბრობდნენ, ტონი კი მათ მიმართ მეტწილად ნეიტრალური იყო.


პირველ ნომბერს ტელეკომპანია „იმერვიზიის“ სადამოს ეთერი ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-17 სხდომის თითქმის 20 წუთიან ვიდეოჩანაწერს დაეთმო. სხდომის დასრულების შემდეგ ეთერში ორი ინტერვიუ გავიდა, რომლებიც მთავარი საინფორმაციო გამოშვებისთვის მომზადებულ სიუჟეტებშიც იყო გამოყენებული. ვინაიდან, საკრებულოს სხდომის ჩანაწერი საინფორმაციო გამოშვების ნაწილი არ იყო რადიონობრივად არ დამონიტორინგდა.



"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საანგარიშო პერიოდში, მონიტორინგის საათებში არხზე ყოველდღიურად საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ გადაიცემოდა. შუქდებოდა როგორც ადგილობრივი ახალი ამბები, ასევე ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. არჩევნების მიმდინარეობასა და შედეგებზე რამდენიმე სიუჟეტი მომზადდა.

ახალ ამბებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 27 წუთი და 30 წამი დაეთმო. ამ დროის 28-28% მთავრობის და ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობების გაშუქებას დაეთმო, 11% - პრეზიდენტის, ხოლო 9% - პრემიერ-მინისტრის. მონიტორინგის ამ სუბიექტებიდან ადგილობრივ ხელისუფლებას დათმობილი დროის 68% პირდაპირი საუბრისთვის დაეთმო, დანარჩენების შემთხვევაში კი ირიბი გაშუქება სჭარბობდა. სუბიექტები, უმეტესწილად, ნეიტრალურად შუქდებოდნენ, თუმცა როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ნეგატიური ტონიც დაფიქსირდა.

ჟურნალისტები მოვლენებს დროულად და ობიექტურად აშუქებდნენ. მაყურებელს საშუალება ჰქონდა თემის გარშემო სხვადასხვა მოსაზრებები მოესმინა. სიუჟეტებში არ იგრძნობოდა მათი სუბიექტური დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის და მხარის მიმართ. სიუჟეტები დაბალანსებული და ვრცელი იყო.




„მეგა ტვ“ (ქ. ხონი) - საანგარიშო პერიოდში არხმა მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 7 წუთი დაუთმო. ამ დროის 28% ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებას დაეთმო, 20%- პრემიერ-მინისტრის, 16% - მთავრობის. საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შუქდებოდა: არჩევნების შედეგები, მთავრობის წევრების აქტივობები, საპროტესტო აქცია პარლამენტის ქუთაისიდან გადატანის გამო, ისრაელთან სავიზო რეჟიმის გაუქმება და სხვა.

30 ოქტომბრის გადაცემაში გავიდა 16 წუთიანი ინტერვიუ ქუთაისის საკრებულოს წევრთან. სტუდიაში მიწვეულმა სტუმარმა ვრცლად ისაუბრა საკრებულოს მიმდინარე საკითხებზე. შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დათმობილმა დრომ 19 წუთი შეადგინა.

სუბიექტები, უმეტესწილად, პირდაპირი საუბრით შუქდებოდნენ. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი იყო ადგილობრივი ხელისუფლების (93%) და პრემიერ-მინისტრის (98%) გაშუქებისას. ისინი 96% ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ. ყველაზე მაღალი ირიბი (81%) და დადებითი (83%) გაშუქება მთავრობას ჰქონდა.

მთლიანობაში, საინფორმაციო გამოშვებებში მოვლენები დაბალანსებულად და მიუკერძოებლად შუქდებოდა. ჟურნალისტები ფაქტებს მოკლედ, ანალიზისა და შეფასებების


გარეშე გადმოსცემდნენ. დიდი დრო ეთმობოდა რესპონდენტების ინტერვიუებს, თუმცა კრიტიკული და არაკორექტული კომენტარები არ გაკეთებულა.



"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - საანგარიშო კვირაში არხმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 15 წუთი დაუთმო. „მე-9 ტალღის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება „კურსორი“ ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა, სადაც წუთზე მეტი დრო მონიტორინგის მხოლოდ ორ სუბიექტს, ადგილობრივ ხელისუფლებას (7 წთ. 56 წმ.) და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (3 წთ. 27 წმ.) დაეთმო.

„კურსორში“ გასული სიუჟეტები, ძირითადად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევნების მიერ შედეგების გამოცხადებას, ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობების და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების გაშუქებას შეეხებოდა.

ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქების 70% პირდაპირ საუბარზე მოდოდა, 91% კი - ნეიტრალურ ტონზე.



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და თოქ-შოუების მონიტორინგი

ამ ტიპის გადაცემების მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. მონიტორინგის დროს დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე ხდება. მათი ქცევა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება: გადაცემაში მათი როლი და ჩართულობა, როგორ წარმართავენ პროცესს, უბრალოდ მოდერატორები არიან, თუ ცდილობენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებენ სტუმრებს, რამდენად თანაბრად მომთხოვნია ჟურნალისტი ყველა სტუმრის მიმართ და ცდილობს მათგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას, რამდენად აცდიან სტუმრებს აზრის გამოთქმას, როდის აწყვეტინებენ საუბარს. მონიტორინგი ასევე აკვირდება ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზებისა და განცხადებების გამოყენებას და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საანგარიშო კვირაში თოქ-შოუ "დიალოგის" ოთხი გადაცემა გავიდა. ერთსაათიანი გადაცემების, რომლებიც ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს მიჰყავდა, თემები იყო:

- არჩევნების შედეგები (სტუმრები: "კოალიცია ქართული ოცნების" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები);
- სტუდენტური ჩართულობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილ პროექტებში (სტუმარი - არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი);

- ხელფასების ზრდა ჯანდაცვის სექტორში (სტუმარი - აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე);
- აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს შერჩევა (სტუმრები: აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენლები).

გადაცემების მსვლელობისას წამყვანი მოდერატორის მოვალეობას ასრულებდა. მის მიერ დასმული კითხვები ამომწურავი და კრიტიკული იყო. ჟურნალისტი ბოლომდე ეძიებოდა სტუმარს და ცდილობდა საკითხის ირგვლივ უფრო კონკრეტული პასუხები მიეღო.

ხშირად სტუმრებს შორის ცხარე კამათიც იმართებოდა, წამყვანი მათ კორექტულობისკენ მოუწოდებდა და ცდილობდა ყველა მხარისთვის დრო თანაბრად დაეთმო. სატელეფონო ჩართვების დროს მაყურებელს საშუალება ჰქონდა აზრის გამოთქმასთან ერთად სტუმრებისთვის კითხვები დაესვა. ჟურნალისტს თოქ-შოუები მიუკერძოებლად მიჰყავდა, ხოლო შერჩეული თემები საზოგადოებისთვის აქტუალური და მრავალფეროვანი იყო.

1 ნოემბერს არხის სადამოს ეთერი **თოქ-შოუ "უპასუხეთ ხალხს"** დაეთმო. მისი წამყვანიც ჟურნალისტი ჯაბა ანანიამე იყო. საათნახევრიან გადაცემაში თვითმმართველი ქალაქების უფლებების ზრდაზე საუბრობდნენ. ეთერში თემასთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტიც გავიდა.

სტუდიაში მიწვეული იყვნენ: აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი, ინფრასტრუქტურული და რეგიონალური განვითარების სამინისტროს მრჩეველთა საბჭოს წევრი, ქობულეთის საკრებულოს წევრი და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი. მათ გარდა გადაცემაში სკაიპით ჩაერთვნენ: ინფრასტრუქტურული და რეგიონალური განვითარების მინისტრის მოადგილე, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის თვითმმართველობის ცენტრის ხელმძღვანელი და ექსპერტი.

გადაცემის მსვლელობისას ჟურნალისტს სუბიექტური შეფასებები არ გაუკეთებია და არც საკუთარი აზრი დაუფიქსირებია. ის თანაბრად ანაწილებდა დროს ყველა სტუმარზე და თანაბრად კრიტიკული იყო ყველას მიმართ. წამყვანი ცდილობდა დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიეღო.

„რიონი“ (ქ. ქუთაისი) - 28 ოქტომბერს, „რიონის“ ეთერში გავიდა **თოქ-შოუ „დიალოგი“**, რომლის თემაც იყო: როგორ ჩატარდა 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები ქუთაისში. გადაცემის წამყვანს, ნანა რობაქიძეს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა № 59 ქუთაისის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

ჟურნალისტი ინტერესდებოდა თუ როგორ მიმდინარეობდა საარჩევნო პროცესი ქუთაისში, იყო თუ არა წლევანდელი არჩევნები უპრეცედენტო გასული წლების არჩევნებთან შედარებით. წამყვანი ცდილობდა, არჩევნებთან დაკავშირებით, სტუმრისთვის ყველა კითხვა დაესვა, რაც მაყურებელს საშუალებას აძლევდა სრულყოფილად გაეგო თუ როგორ ჩატარდა არჩევნები ქუთაისში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური **თოქ-შოუ „თემა“** არხის ეთერში 1 ნოემბერს გავიდა. გადაცემის წამყვან ნანა რობაქიძეს სტუდიაში მედიისა და საზოგადოების წარმომადგენლები ჰყავდა მიწვეული. ერთსაათიან თოქ-შოუში სტუმრები საუბრობდნენ უნდა დარჩეს თუ არა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო ქუთაისში. გადაცემაში საკმაოდ აქტიურობდნენ მაყურებლები, რომელებიც თავიანთ პოზიციებს სატელეფონო ზარის საშუალებით აფიქსირებდნენ.

ჟურნალისტმა გადაცემის დასაწყისში აღნიშნა, რომ ამ თემაზე სასაუბროდ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები მიიწვია, თუმცა მათ მოუცვლელობის გამო სტუდიაში მისვლა ვერ მოახერხეს. ამიტომ, დაუბალანსებელი ეთერი რომ არ ყოფილიყო, სტუდიაში უმცირესობის წევრები აღარ მიუწვევიათ.

ჟურნალისტი ცდილობდა სტუმრებთან გაერკვია თუ რა დადებითი მხარე ჰქონდა პარლამენტის ქუთაისში დარჩენას, რატომ იყო მნიშვნელოვანი ქუთაისისთვის საპარლამენტო ქალაქის სტატუსი. ჟურნალისტი ყველა სტუმარს დროს თანაბრად უთმობდა. გადაცემის მსვლელობისას სტუმრებისა და მაყურებლების განცხადებების საფუძველზე ნათელი გახდა თუ რამდენად უარყოფითად აფასებდნენ ქუთაისელები პარლამენტის თბილისში გადატანის ინიციატივას. ჟურნალისტი საინტერესო კითხვებს სვამდა და ცდილობდა მის ეთერში არაკორექტული გამოთქმები არ დაფიქსირებულიყო. მაგალითად, ერთ-ერთ სტუმარს, რომელიც პარლამენტის თანამშრომლის განცხადებით იყო აღშფოთებული მან კორექტულობისკენ მოუწოდა.

საანგარიშო პერიოდში, 3 ნოემბერს „რიონის“ ეთერში გავიდა **გადაცემა „თქვენი პარლამენტი“**, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

გადაცემის თემა იყო: საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები.

წამყვანს გადაცემაში ლაგოდების მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „უპარტიო-დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოზალიშვილი ჰყავდა მიწვეული, რომელმაც ტელეკომპანია „ლტვ“-ს (ქ. ლაგოდები) ჟურნალისტების მიერ მომზადებულ კითხვებს უპასუხა.

„თქვენი პარლამენტის“ სტუმარი ასევე უნდა ყოფილიყო საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. შესაბამისად, გადაცემაში განსხვავებული მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში ბადრი კაპეტივადის სახელობის საზოგადოებრივი სატელევიზიო კლუბი „ღია სამოქალაქო საზოგადოება“ გავიდა. ერთსაათიანი გადაცემის თემები იყო:

- უწყვეტი კავშირი ხელისუფლებასა და ხალხს შორის;
- საზოგადოების გავლენა ხელისუფლებაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებათა ზრდა;
- ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და სამოქალაქო მართვის დამკვიდრება;

გადაცემის წამყვანი ცდილობდა სტუმრებს, აკადემიკოსებს, ზურაბ ქაჯაიას და ოთარ ჭუმბურიძეს თემებთან დაკავშირებით ვრცლად ესაუბრათ.

გადაცემის დასაწყისში ჟურნალისტმა ხელისუფლების წევრების მიმართ პირადი სიმპათია გამოხატა. მაგალითად, როდესაც გიორგი მარგველაშვილზე იყო საუბარი, წამყვანმა განაცხადა: „აღსანიშნავია, რომ ეს არჩევნები გაცილებით მშვიდ ვითარებაში ჩატარდა, რაც ახალი ხელისუფლების დამსახურებაა. გვყავს ახალი პრეზიდენტი, ბატონი გიორგი მარგველაშვილი, უადრესად ღირსეული, მეცნიერი კაცი, გამორჩეული თავისი პატიოსნებით, ანალიზის უნარით და საკმაოდ დიდი იუმორის გრძნობითაც. ასე რომ, ყველა კმაყოფილია...“ წამყვანმა გადაცემის მსვლელობისას სხვადასხვა საკითხებზე საკუთარი შეხედულება არაერთხელ დააფიქსირა და სუბიექტური შეფასება გააკეთა.

ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - საანგარიშო კვირაში მონიტორინგის ქვეშ თოქ-შოუ „თქვენი დროს“ ორი გადაცემა მოექცა. გადაცემებს ჟურნალისტი ტატო გოგოლაძე უძღვებოდა.

29 ოქტომბერს გადაცემაში სტუმრად მიწვეული იყო რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია. მან ქვემო ქართლის რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა.

მონიტორინგის სუბიექტებიდან გადაცემაში მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება გაშუქდა. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საუბრისას მინისტრი დადებით ტონში საუბრობდა მთავრობის საქმიანობის შესახებ.

თოქ-შოუში ნაკლებად იყო კრიტიკული შეკითხვები. ჟურნალისტი ზოგადი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა.

1 ნოემბრის გადაცემის სტუმარი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი დავით დარახველიძე იყო. სტუმრი დევნილთა მდგომარეობისა და მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ საუბრობდა.

მონიტორინგის სუბიექტებიდან გადაცემაში, მთავრობა, კოალიცია „ქართული ოცნება“, ადგილობრივი თვითმმართველობა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდნენ. მინისტრი დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებსა და დევნილთა გაზრდილი შემწეობების შესახებ საუბრობდა. გადაცემაში წარმოდგენილი სუბიექტების მიმართ სჭარბობდა ნეიტრალური და დადებითი ტონი.

ჟურნალისტი კეთილგანწყობილი იყო სტუმრის მიმართ. ნაკლებად სვამდა კრიტიკულ შეკითხვებს. გადაცემა ინტერაქციული იყო და მაყურებელს შეეძლო შეკითხვები დაესვა სტუმრისთვის. იძულებით ადგილნაცვალი მოქალაქეები საკუთარი კონკრეტული პრობლემების შესახებ შეკითხვებით შემოიფარგლებოდნენ.

"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო კვირაში მონიტორინგის ქვეშ გადაცემა „თქვენი პარლამენტი“ მოექცა. გადაცემა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება, ეთერში 3 ნოემბერს გავიდა. გადაცემაში ცრუ შეტყობინებების, ტერორიზმის შესახებ კანონის გამკაცრებაზე სასაუბროდ მიწვეული იყო ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია "ქართული ოცნების" წევრი ეკა ბესელია. თოქ-შოუში მონაწილეობაზე საპარლამენტო უმცირესობამ უარი განაცხადა. შესაბამისად, განსხვავებული მოსაზრებები არ დაფიქსირებულა, გადაცემა ინფორმაციული იყო. დეპუტატმა ტელეკომპანია "მეცხრე ტალღის" (ქ. ფოთი) ჟურნალისტების მიერ მომზადებულ კითხვებს უპასუხა.

მეცხრე არხი (ქ. ახალციხე) - საანგარიშო პერიოდში, 31 ოქტომბერს ტელეკომპანია "მე-9 არხის" სადამოს ეთერში **თოქ-შოუ "დიალოგი რუსუდან გვარამაძესთან ერთად"** გავიდა. გადაცემა ორი ბლოკისგან შედგებოდა, განხილული თემები კი იყო:

- დაკმაყოფილდა თუ არა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შესული საჩივრები;
- არჩევნების შედეგების შეფასება და მოსალოდნელი ცვლილებები.

თოქ-შოუს პირველი ნაწილის სტუმარმა, ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დეტალურად ისაუბრა შესულ საჩივრებზე, ხოლო მეორე ნაწილში მიწვეულმა კოალიცია "ქართული ოცნების", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენლებმა არჩევნების მიმდინარეობა და შედეგები შეაფასეს.

გადაცემის მსვლელობისას სტუმრებს შორის ხშირად ცხარე კამათი იმართებოდა, თუმცა წამყვანი მოდერირებას ახერხებდა და ცდილობდა აზრის გამოსათქმელად ყველას თანაბარი დრო და საშუალება ჰქონოდა. ჟურნალისტი სტუმრებს კრიტიკულ კითხვებს უსვამდა და მუდმივად ცდილობდა უფრო კონკრეტული პასუხები მიეღო. ის ბოლომდე ეძიებოდა სტუმრებს. სწორედ ამიტომ, კოალიციის წარმომადგენელმა ვერ უარყო ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორად მისი შესაძლო დანიშვნის შესახებ.

"თანამგზავი" (ქ. თელავი) - საანგარიშო კვირაში, 1 ნოემბერს სადამოს 20:30 საათზე ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ „დიალოგი“** გავიდა, რომელსაც ნატო მეგუთნიშვილი უძღვებოდა. გადაცემა, რომლის თემა ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები იყო, ორი ნაწილისაგან შედგებოდა. თოქ-შოუს პირველ ნაწილში მიწვეული იყო თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისის ხელმძღვანელი. სტუმრებმა საარჩევნო გარემო შეაფასეს და არჩევნების დღეს დაფიქსირებული დარღვევების შესახებ ისაუბრეს. გადაცემის პირველი ბლოკი საკმაოდ ინფორმაციული იყო. წამყვანი საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე სვამდა შეკითხვებს, რომლებსაც სტუმრები ამომწურავად პასუხობდნენ. გადაცემის მეორე ნაწილში წარმოდგენილი ქუჩის გამოკითხვა ჩატარებული არჩევნების მიმართ მოსახლეობის განწყობას გამოხატავდა. წამყვანი მიწვეულ სტუმრებს (კოალიცია „ქართული ოცნების“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ თელავის შტაბის წარმომადგენლები) აზრის გამოსათქმელად თანაბარ დროს უთმობდა და კითხვის დასმის დროს რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ მიკერძოებულობას არ ავლენდა. თუმცა, კითხვები ნაკლებად კრიტიკული იყო და გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

"თრიალეთი" (ქ. გორი) - საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის ქვეშ **თოქ-შოუს „თქვენი აზრით“** 3 გამოშვება მოექცა. გადაცემები, რომლებსაც ჟურნალისტი გვანცა დოლუაშვილი უძღვებოდა, ორი ნაწილისგან შედგებოდა. თოქ-შოუების მთავარი თემა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები და ახალი პოლიტიკური რეალობის შეფასება იყო. გადაცემის პირველ ნაწილში წამყვანი, თემასთან დაკავშირებით, ვრცელ მიმოხილვას აკეთებდა, ნაჩვენები იყო სიუჟეტიც. მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი მოსახლეობას პირდაპირ ეთერში საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებისკენ მოუწოდებდა, გადაცემები მაღალი ინტერაქტიულობით არ გამოირჩეოდა.

წამყვანის შესავლის ტექსტი საკმაოდ ინფორმაციული იყო. იგი თანაბრად და მიუკერძოებლად წარმოადგენდა სხვადასხვა პოლიტიკური ძალების და მთავრობის წარმომადგენლების შეხედულებებს. კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის ერთწლიანი პერიოდის შესახებ მომზადებული სიუჟეტი მაქსიმალურად ამომწურავი და წინასტორიის შემცველი იყო. მასში იყო ოპონენტთა კომენტარები და კრიტიკული შეფასებები.

გადაცემის მეორე ნაწილში თითო სტუმარი იყო მიწვეული. თოქ-შოუ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. წამყვანისა და სტუმრის დიალოგი კონსტრუქციული და კორექტული იყო. ზოგჯერ ჟურნალისტი კრიტიკულ შეკითხვებს სვამდა, თუმცა სტუმარებთან პოლემიკაში არ შედიოდა. იგი კრიტიკული კითხვების დასმისას არგუმენტებად ოპონენტების განცხადებებს ეყრდნობოდა.

29 ოქტომბერს ტელეკომპანიის ეთერი **თოქ-შოუ „თვალსაზრისს“** დაეთმო. გადაცემას ლადო ბიჭაშვილი უძღვებოდა. თოქ-შოუ ორი ნაწილისგან შედგებოდა, თითოეულ ბლოკს ერთი სტუმარი, ჰყავდა რომლებიც ოპონენტ მხარეებს წარმოადგენდნენ. გადაცემა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების განხილვას დაეთმო.

პირველი ბლოკის სტუმარი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გორის ოფისის წარმომადგენელი იყო, ხოლო მეორე ბლოკში მიწვეული იყო "რესპუბლიკური პარტიის" გორის ოფისის ხელმძღვანელი.

გადაცემის წამყვანი საკუთარ მოსაზრებების და პოზიციას ნაკლებად აფიქსირებდა. გადაცემის მეორე ნაწილში იგი უფრო აქტიური იყო და მწვავე შეკითხვებსაც სვამდა, თუმცა მაქსიმალურად კორექტული იყო.

"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - 3 ნოემბერს ტელეკომპანიის ეთერში გავიდა გადაცემა **„თქვენი პარლამენტი“** გავიდა. გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო

განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

წამყვანს გადაცემაში ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „უპარტიო-დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოზალიშვილი ჰყავდა მიწვეული, რომელმაც ტელეკომპანია „ლტვ“-ს (ქ. ლაგოდეხი) ჟურნალისტების მიერ მომზადებულ კითხვებს უპასუხა. სასაუბრო თემა საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები იყო. ცვლილებები ხე-ტყის უკანონო მოპოვებასთან დაკავშირებით კანონის გამკაცრებას ითვალისწინებს.

„თქვენი პარლამენტის“ სტუმარი ასევე უნდა ყოფილიყო საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. შესაბამისად, გადაცემაში განსხვავებული მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საანგარიშო პერიოდში არხის ეთერში გავიდა დოკუმენტური ფილმი, რომლის შემდეგაც სოციალურ თემებზე დისკუსია გაიმართა. გადაცემის დაწყებამდე წამყვანმა აღნიშნა, რომ ფილმი და სპეციალური გადაცემა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ იყო მომზადებული. ფილმის ჩვენების შემდეგ არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემების შესახებ საუბრობდნენ. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მთავრობას სოციალურ თემატიკაზე გააქტიურებისაკენ მოუწოდებდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მათ მიერ ამ კუთხით გატარებული სამუშაოსა და სამომავლო გეგმების შესახებ საუბრობდნენ. გადაცემაში თემის გარშემო მრავალფეროვანი მოსაზრებები იყო წარმოდგენილი.

3 ნოემბერს ეთერში გავიდა გადაცემა „თქვენი პარლამენტი“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება. გადაცემაში სტუმრად მიწვეული იყო ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი ელისო ჩაფიძე. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. სტუმარმა ტელეკომპანია „არგოს“ (ქ. ზესტაფონი) ჟურნალისტების მიერ მიწოდებული კითხვებს უპასუხა. გადაცემის თემა „ოჯახში

ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები იყო.

"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა) - საანგარიშო პერიოდში, 29 ოქტომბერს ტელეკომპანიის ეთერში გავიდა გადაცემა „თქვენი პარლამენტი“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება. ექვსწუთიანი გადაცემის თემა იყო: საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები.

წამყვანს გადაცემაში ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „უპარტიო-დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოზალიშვილი ჰყავდა მიწვეული, რომელმაც ტელეკომპანია „ლტვ“-ს (ქ. ლაგოდეხი) ჟურნალისტების მიერ მომზადებულ კითხვებს უპასუხა.

„თქვენი პარლამენტის“ სტუმარი ასევე უნდა ყოფილიყო საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. შესაბამისად, გადაცემაში განსხვავებული მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

მეგა ტვ" (ქ. ხონი) - 30 ოქტომბერს ტელეკომპანიის ეთერში თოქ-შოუ "არჩევნები 2013" გავიდა. გადაცემის სტუმარმა, საქართველოს ახალგარდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ოფისის თავმჯდომარემ დასავლეთ საქართველოში არჩევნების მიმდინარეობასა და სხვადასხვა ოლქში დაფიქსირებულ დარღვევებზე ისაუბრა. სტუმარს საშუალება ჰქონდა ბოლომდე გამოეთქვა აზრი, იგი დეტალურად მიმოიხილავდა ყველა საკითხს და თითოეულ გამოვლენილ დარღვევაზე ვრცელ კომენტარს აკეთებდა. გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. მაყურებელმა თემის ირგვლივ ამომწურავი ინფორმაცია მიიღო. წამყვანი საკუთარ შეფასებებს ნაკლებად აკეთებდა და ცდილობდა კითხვებით ჩამიებოდა სტუმარს.

28 და 29 ოქტომბერს არხის ეთერი გადაცემას "თქვენი პარლამენტი" დაეთმო. გადაცემის, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება, თემები იყო:

- ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის გეგმა;

- მანგანუმის მოსაკრებლის შესაძლო გაზრდა.

პირველ თემასთან დაკავშირებით კოალიცია "ქართული ოცნების" წევრმა, ნოდარ ებანოიძემ ისაუბრა. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. სტუმრისთვის დასმული კითხვები ტელეკომპანია "არგომ" (ქ. ზესტაფონი) მოამზადა.

მეორე გადაცემის სტუმარი ჭიათურის მაჟორიტარი დეპუტატი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მალხაზ წერეთელი იყო. წამყვანმა აღნიშნა, რომ გადაცემაში მონაწილეობაზე საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა უარი განაცხადა.

გადაცემის შესავალში სტუმარმა კანონ-პროექტი წარადგინა, შემდეგ კი ტელეკომპანია „იმერვიზიის“ (ქ. ჭიათურა) ჟურნალისტების მიერ მომზადებულ შეკითხვებს უპასუხა. მაყურებელმა თემის ირგვლივ ამომწურავი ინფორმაცია მიიღო. მაგრამ, რადგან მეორე მხარე გადაცემაში არ მონაწილეობდა, საკითხი დადებითად იყო წარმოდგენილი და კანონ-პროექტის ავტორის მიმართ კრიტიკული კითხვები არ დასმულა.

"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - საანგარიშო პერიოდში, 1 ნოემბერს „მე-9 ტალღის“ ეთერში **თოქ-შოუ „თემა“** გავიდა. ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შესაფასებლად ჟურნალისტი თეა აბსარიძეს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა კოალიცია „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეები. წამყვანმა თოქ-შოუს დასაწყისში აღნიშნა, რომ გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად სხვა პარტიების საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეებიც მიიწვია, თუმცა მათ სტუდიაში მისვლაზე უარი განაცხადეს.

თითქმის ერთსაათიანი გადაცემა ცხარე დებატების ფონზე მიმდინარეობდა. ჟურნალისტი 27 ოქტომბრის არჩევნების შესახებ კითხვებს აქტიურად სვამდა და მაყურებელს შესაძლებლობას აძლევდა არჩევნებთან დაკავშირებით სტუმრებისგან დეტალური შეფასებები მოესმინათ. გადაცემის სტუმრებმა სასაუბრო თემას არაერთხელ გადაუხვიეს. ჟურნალისტი მათ მოუწოდებდა, რომ ისეთ საკითხებზე არ ესაუბრათ, რასაც თოქ-შოუს თემასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

თოქ-შოუს მსვლელობისას ჟურნალისტი აქტიური იყო, ზოგ შემთხვევაში კრიტიკულიც. თუმცა, მას გადაცემაში პოლიტიკური პროცესებისა თუ პარტიების მიმართ საკუთარი დამოკიდებულება არ გამოუხატავს.

ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“

„რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ყოველკვირეული ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“ კვირაში ერთხელ, სხვადასხვა დროს ეთერში შემდეგ არხებზე გადის: „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“, „25-ე არხი“, „თანამგზავრი“, „ოდიში“ „მეცხრე ტალღა“ „რიონი“, „იმერვიზია“, „გურჯაანი“ და „მეცხრე არხი“.

3 ნოემბერის ტელეჟურნალ „მრავალკუთხედის“ სტუდიაში სტუმრები მიწვეული არ ყოფილან. მხოლოდ სიუჟეტები გავიდა, რომლებიც შემდეგ თემებზე იყო მომზადებული:

- საპრეზიდენტოდან საპარლამენტო არჩევნებამდე. ჟურნალისტები სამუშაო გარემოს აფასებენ;
- პრეზიდენტის უფლებამოსილებანი, გუბერნატორების დანიშვნის წესი და ახალი პრეზიდენტის ახალი რეზიდენცია;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ველისციხის თეატრის ეზო და გარეგანათების სისტემა მოწესრიგდა;
- სოფელი ხცისი კვლავ სასმელი წყლის მოლოდინშია. უწყლო ადგილზე აგებული წყლის დაქლორვისათვის საჭირო შენობა.
- ჟურნალისტების სტუმრობით გულაჩუყებული მოხუცი, რომელიც ბორჯომის წყლის ჭურჭლის ყალიბებს 60 წლის მანძილზე ქმნიდა;

"მრავალკუთხედის" სიუჟეტებში დეტალურად იყო განხილული საკითხები და რესპონდენტების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. სიუჟეტებში წარმოდგენილი იყო ყველა დაინტერესებული მხარე. შესაბამისად, გადაცემა დაბალანსებული იყო. ჟურნალისტები მიკერძოებულ შეფასებებს არ აკეთებდნენ.

სტუდია "რე"

საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიების: "მე-9 ტალღა", "თრიალეთი" და "მეგა ტვ" სადამოს ეთერში სტუდია „რეს“ 50 წუთიანი ტელედისკუსია გადიოდა.

საანგარიშო პერიოდში სამი გადაცემა გავიდა, სადაც შემდეგი თემები განიხილებოდა:

- როგორ შუქდება წინასაარჩევნო პროცესები მედიაში (*"მე-9 ტალღა"*);
- ვიზების ლიბერალიზაცია (*"თრიალეთი"*)
- ახალგაზრდობის პოლიტიკა (*"მეგა ტვ"*)

გადაცემები სტუმართა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. წამყვანი ზვიად ქორიძე მის მიერ დასმული კითხვებით ცდილობდა, თემები მეტად გაეშალა და სტუმრებისგან ამომწურავი პასუხები მიეღო.

ტელედიკუსიაში, რომლის თემა იყო როგორ აშუქებდა მედია წინასაარჩევნო პერიოდს, სტუდიაში სასაუბროდ წამყვანს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა 5 სტუმარი. ორგანიზაციები, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ, მედიის მონიტორინგს ახორციელებენ. სტუმრებმა წინასაარჩევნოდ ქართულ მედიაში არსებული გარემო შეაფასეს. გადაცემაში ვრცლად მიმოიხილეს მედიასივრცეში არსებული წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის გაშუქება და ტენდენციები. წამყვანი ზვიად ქორიძე ცდილობდა, გადაცემის მსვლელობისას სრულად ყოფილიყო ნაჩვენები ის ვითარება, რაც დღეს ქართულ მედიაში შეინიშნება.

დისკუსია, რომელიც ვიზების ლიბერალიზაციას მიეძღვნა "ლიბერალურ აკადემიასთან" ერთად მომზადდა. სტუმრად მიწვეულმა საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრების მოადგილეებმა, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივების და რეადმისიის შესახებ ისაუბრეს. სტუმრებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირებულობა იმის შესახებ თუ რას ნიშნავს "ვიზების ლიბერალიზაცია", როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი და როდის რას უნდა ველოდოთ.

გადაცემაში "ახალგაზრდობის პოლიტიკა" მიწვეულმა სტუმრებმა (სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელი, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები) ქვეყნის მნიშვნელოვან პროცესებში ახალგაზრდობის ჩართულობაზე ისაუბრეს, როგორი უნდა იყოს და რას უნდა მოიცავდეს მთავრობის პოლიტიკა ახალგაზრდობის (მოსახლეობის 14%) მიმართ.

სოციალური რეკლამების მონიტორინგი

მონიტორინგის ფარგლებში ასევე დაკვირვება მოხდება სოციალურ რეკლამებზე. "რეკლამის შესახებ კანონის" მე-12 მუხლში სოციალური რეკლამა განმარტებულია როგორც "საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას (9.06.2006 N3245)". დაკვირვება მოხდება იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს ესა თუ ის სოციალური რეკლამა ამ სტატუსის რეკლამისთვის კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ხომ არ შეიცავს "ფარული პოლიტიკური რეკლამის" (სამთავრობო დაწესებულებების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული

მომსახურების რეკლამირება) ნიშნებს. თვისებრივი კვლევის პარალელურად დაითვლება "ფარული პოლიტიკური რეკლამის" ნიშნების შემცველი სოციალური რეკლამების ეთერში გასვლის სიხშირეც.

მონიტორინგის შედეგები: საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიების ეთერში გასულ სოციალურ რეკლამებში ფარული პოლიტიკური რეკლამის ნიშნები არ შეინიშნებოდა.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

დაგეგმილია 4-10 ნოემბრის მანძილზე განხორციელებული რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეექვსე ეტაპის ანგარიშის მომზადება.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Global Expertise. Local Solutions.
Sustainable Democracy.

ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.